დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საზოგადმოებრივი კოლეჯ კავკასიონის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის "საექთნო საქმე"

მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თინათინი მეფარიშვილი
წევრები:
ია გელენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 412683813

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2026 წლის 14 და 20 აპრილს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ,,ცენტრი“) შემოვიდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,კავკასიონის“ წერილები (№ 00006395), (№ 00006692) შეტყობინების მიზნით, სადაც აღნიშნული იყო რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო საქმე“ ახორციელებს ორ მისამართზე-ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორცელებისთვის ქუთაისში გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 9 პარტნიორ ორგანიზაციასთან, ხოლო ქ. თბილისის შემთხვევაში-4 პარტნიორ ორგანიზაციასთან. აღნიშნული პრაქტიკის ობიექტები სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელებას. თუმცა, ქვეყანაში არსებული ექთნების დეფიციტის გათვალისწინებით, დამატებით ორგანიზაციებმა ქუთაისის განყოფილებაში– შპს „ჯეოჰოსპიტალსი“, შპს „უნიქალმედი“, „ააიპ საქველმოქმედო ფონდი კარიტასი“ და შპს „ჰოსპიტალსერვისი“ , ხოლო თბილისის განყოფილებაში -შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ და სს „ჯერარსი“ – გამოთქვეს თანამშრომლობის მზაობა. აღნიშნული თანამშრომლობა ითვალისწინებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ფარგლებში პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ ორგანიზაციებში. შესაბამისად, შეთანხმების შედეგად მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება პრაქტიკის ბაზებთან, რის საფუძველზედაც განხორციელდა ცვლილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „საექთნო საქმე“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

ცენტრმა აღნიშნული გარემობა არაგეგმიური მონიტორინგის საფუძვლად მიიჩნია ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 1 მაისის № 516723 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო საქმე" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით 2026 წლის 19 მაისს განახორციელა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში (მის.: ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2).

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი წერილების , მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა პოზიციები, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი და დაწესებულებისთვის წარსადგენად მიაწოდა იგი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წერიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი შევხვდა დაწესებულების დირექტორს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო ნაწილის წარმომადგენლებს, ასევე სხვა ადმინისტრაციულ პერსონალს.
გასაუბრება ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე“ ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
ვიზიტი განხორციელდა პრაქტიკის სამ ობიექტზე, ერთთან მოხდა სატელეფონო გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამასთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე შემოწმდა ბიბლიოთეკა.
კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს უპასუხეს ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, გათვალისწინებული იქნა დაწესებულების მხრიდან, განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილ იქნა 2023 წელს 14,15,16 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განახორციელებული ვიზიტის დროს პროგრამისათვის „საექთნო საქმე“, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

განმავითარებელი რეკომენდაცია:	გათვალისწინებული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან:
ინდიკატორი 2.1.1.3 ვინაიდან დაწესებულებას აქვს საშუალება, რომ დამატებით მოაწყოს A გარემო, ადამიანური რესურსების რაოდენობაც იძლევა საშუალებას, სწავლა განახორციელოს ორ ჯგუფად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სალექციო პროცესში პროფესიული სტუდენტების უფრო თანაბარი და აქტიური ჩართულობა.	დაწესებულებამ დამატებით მოაწყო A გარემო, შესაბამისად სწავლა ხორციელდება ორ ჯგუფად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სალექციო პროცესში პროფესიული სტუდენტების უფრო თანაბარი და აქტიური ჩართულობა.
ინდიკატორი 2.1.1.4 განმავითარებელი რეკომენდაცია: განხორციელდეს მოდულებში საკანონმდებლო ბაზის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების განახლება, ძალადაკარგული რეგულაციები ჩანაცვლდეს ახლით (ინფექციის კონტროლის გაიდლაინები, საკანონმდებლო აქტები და. სხვ)	ყველა საგანმანათლებრო რესურსი განახლებულია.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ
ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო საქმე	288	253	37	4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
რეკომენდაციები არ გამოვლენილა

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
საექთნო საქმე	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გამოვლენილა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გამოვლენილა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს .

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2, V-VI სართული
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	288
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის დანართი) და სასწავლო რესურსი, რომლებიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. დაწესებულებას პროგრამის თეორიული სწავლებისათვის გამოყოფილი აქვს A და B სასწავლო გარემო გარემო. პრაქტიკული სწავლის შედეგები, რომლებიც არ მიიღწევა სასწავლო კოლეჯში, გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე- სამედიცინო დაწესებულებებში. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროგრამა „საექთნო საქმის“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის რელევანტურობა, აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა გასაუბრება მოდულის განმახორციელებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

პირებთან, გასაუბრებით დადგინდა, რომ სწავლების დროს ხდება არსებული (განახლებული) რეგულაციებისგამოყენება. 2 A გარემო აღჭურვილია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით 48 (2 ცვლაში 96 სტუდენტზე) პროფესიულ სტუდენტზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო საქმე/ Nursing კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს შემდეგ ობიქტებთან:

1.ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი (ხელშეკრულების დადების თარიღი 2026 წლის 16 მარტი 3წლის ვადით. თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 1 (ერთი) თვით ადრე რომელიმე მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით და იმავე პირობით.

2.შპს „ქალაქ ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 20.08.2019 წელის ბრძანების ცვლილება - 27 დეკემბერი 2022 წელი , პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 96 პროფესიული სტუდენტი, იმ გაანგარიშებით, რომ 7 პროფესიულ სტუდენტზე კლინიკა უზრუნველყოფს 1 პრაქტიკის ინსტრუქტორს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა -2026 წელი, ობიექტს გააჩნია იმ მოდულების მიმართულების საქმიანობის ნებართვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კლინიკური სწავლების ფარგლებში.თუ ვადის გასვლამდე მხარეების სურვილით არ შეწყდება თანამშრომლობა, ხელშეკრულება გრძელდება იგივე ვადით ავტომატურად.

3. შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო - 05.03.2022 3 წლის ვადით და შემდეგ ავტომატური გაგრძელების პირობით იგივე ვადით, ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე შეწყვეტის წერილობითი მიმართვის არ არსებობის შემთხვევაში; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ერთდროულად - 28, 1/7 პრაქტიკის ინსტრუქტორის უზრუნველყოფის გათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

4. შპს კლინიკა „ლჯ“ 07.02.2022 , 3 წლის ვადით და შემდეგ ავტომატური გაგრძელების პირობით იგივე ვადით, ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე შეწყვეტის წერილობითი მიმართვის არ არსებობის შემთხვევაში; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ერთდროულად - 28, 1/7 პრაქტიკის ინსტრუქტორის უზრუნველყოფის გათვლით.

5.შპს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი, 01 მარტი 2022, 3 წლის ვადით და შემდეგ ავტომატური გაგრძელების პირობით იგივე ვადით, ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე შეწყვეტის წერილობითი მიმართვის არ არსებობის შემთხვევაში; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ერთდროულად - 28, 1/7 პრაქტიკის ინსტრუქტორის უზრუნველყოფის გათვლით.

6.შპს „ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქსენონი“ – 01 დეკემბერი 2022, 3 წლის ვადით და შემდეგ ავტომატური გაგრძელების პირობით იგივე ვადით, ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე შეწყვეტის წერილობითი მიმართვის არ არსებობის შემთხვევაში; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ერთდროულად - 28, 1/7 პრაქტიკის ინსტრუქტორის უზრუნველყოფის გათვლით.

7. შპს „კლინიკა ბომონდი“ - 27 დეკემბერი 2022 წელი , 3 წლის ვადით და შემდეგ ავტომატური გაგრძელების პირობით იგივე ვადით,ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე შეწყვეტის წერილობითი მიმართვის არ არსებობის შემთხვევაში; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ერთდროულად - 28, 1/7 პრაქტიკის ინსტრუქტორის უზრუნველყოფის გათვლით.

8. „შსპს ქუთაისის N2 სამშობიარო სახლი“- 23 იანვარი 2023 , 3 წლის ვადით და შემდეგ ავტომატური გაგრძელების პირობით იგივე ვადით,ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე შეწყვეტის წერილობითი მიმართვის არ არსებობის შემთხვევაში; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ერთდროულად - 14, 1/7 პრაქტიკის ინსტრუქტორის უზრუნველყოფის გათვლით. ყველა ობიექტს გააჩნია იმ მოდულების მიმართულებით საქმიანობის ნებართვა/ლიცენზია, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კლინიკური სწავლების ფარგლებში.

პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება შეფერხების გარეშე და მოთხოვნილი შესაბამისობის 1/7 დაცვით. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია: ხელშეკრულების საგანი; მოდულები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია პრაქტიკის ობიექტზე; ხელშეკრულების დანართები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი, სასწავლო გეგმა; სწავლების ადგილი; პრაქტიკის ობიექტზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა; მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის - პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების ნორმების დაცვის, მასალა ნედლეულით უზრუნველყოფის, შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებში ჩართულობის და სხვ. ვალდებულება; მხარეთა პასუხისმგებლობა; მოქმედების ვადა; ანარიშსწორება და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები; ფორსმაჟორი; დამატებითი დებულებები და მხარეთა ხელმოწერები. გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, რომლებიც ადასტურებს, რომ საერთო ჯამში ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია ზღვრული ოდენობის პროფესიული სტუდენტათვის პრაქტიკის ობიექტზე მოდულების განხორციელება. დაწესებულებამ დამატებით ხელშეკრელება გააფორმა შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს ,,ჯეოჰოსპიტალსი“, შპს უნიქალმედი“, შპს ჰოსპიტალსერვისი“, ,,ააიპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ , უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული ობიექტები თანამშრომლობენ მხოლოდ კოლეჯ ,,კავკასიონთან“. ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულეს სამი პრაქტიკის ობიექტი, ერთი პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან მოხდა სატელეფონო გასაუბრება. მათ დაადასტურეს კოლეჯთან კონსტრუქციული თანამშრომლობა, ისაუბრეს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და მზად არიან უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა დასაქმება. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, ეს ვალდებულება გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც. განხორციელდა შეხვედრა სტუდენტებთანაც და ასევე პედაგოგებთან, საუბრისას გაირკვა, რომ პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება სტუდენტების ყოველდღიური აღრიცხვა დასწრების რეგისტრაციის შესაბამის ფორმაში და შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებას ბარდება; რაც შეეხება პრაქტიკული აქტივობების საკითხებს და სტუდენტის მიერ პრაქტიკული სამუშაოს დადასტურებას, პრაქტიკის ობიექტებს აქვთ შემუშავებული საექთნო პრაქტიკის პროტოკოლები და შესრულების ჩეკ-ლისტები(სტუდენტის დღიურის ვერსია). წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად დადგინდა, რომ საექთნო პერსონალზე მოთხოვნა მზარდია. მათი მზაობა დადასტურდა პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტის დროს პრაქტიკის ხელმძღვანელთან, ასევე პრაქტიკისინსტრუქტორებთან ინტერვიუირებით. პარტნიორები მკაფიოდ და დასაბუთბულად გვიზიარებდნენ არგუმენტებს პროგრამა ,,საექთნო საქმეს“ კურსდამთავრებულების საჭიროებას და მზაობას სტუდენტების მიღებაზე, ასევე კურსდამთავრებულების დასაქმებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

მონიტორინგის შედეგად ვლინდება რომ, პროფესიული მოდულების „შინმოვლა“ და „ავადმყოფის მოვლა“ განხორციელების მიზნით, კოლეჯის მიერ დამატებით გააფორმებული ხელშეკრულება ,,ააიპ საქველმოქმედო ფონდი კარიტასი“-თან სრულიად აკმაყოფილებს სტანდარტებს და თავისუფლად შეუძლია სტუდენტებსს პრაქტიკა განახორციელებელოს აღნიშნულ ობიექტზე .შემოწმდა ტექნიკურ მატერიალური ბაზა, იგი სრულად არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით. დამატებით მათ შეუძლიაათ მიიღონ 48 სტუდენტი (3 ცვალში 16 სტუდენტი). ასევე წარმოგვიდგინეს კარიტასის რეგისტრაციის დოკუმენტი, სადაც დადასტურებულია რეგისტრაციაზე თანხმობა ქ.ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა No8. მისამართზე. (2024 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება No MOH 1 24 00188729) . ინტერვიუებისას პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებმა სწავლების ფორმად მხოლოდ აუდიტორიული დასწრება დაგვისახელეს. სასწავლო პროცესი ჰიბრიდულ რეჟიმში ვერ განხორციელდება, სავალდებულია სტუდენტმა პრაქტიკული და თეორიული ნაწილი გაიაროს ადგილზე, პრაქტიკის ობიექტზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია.

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის „ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 22 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 17 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. (ხელშეკრულების ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციიდან დასაქმებულია ორი თანამშრომელი პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე, რაც უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან განხორციელებას და სწავლების პროცესში პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრაციას. მათი კვალიფიკაცია დადასტურდა დარგის ექსპერტის მიერ). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტის და სასწავლო გეგმის შედარების შედეგად დადგინდა, რომ არცერთი განმახორციელებლის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №11876. 06.12.2022 წელი დამტკიცებულია (ცვლილება- №1517. 19.02.2023 წელი; ცვლილება №2399. 16.03.2023 წელი -საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები-თავი XIV. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები--მუხლი 68. პერსონალის მიღების წესი და მუხლი 69. პერსონალის მიღების პირობები) - პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს: ა) სასწავლო მოდულის შესაბამისი კვალიფიკაციის უმაღლესი განათლება; ბ) სასწავლო მოდულის შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლება გ) შესაბამისი პროფილით პრაქტიკული გამოცდილების მინიმუმ 3 წლის სტაჟი; დ) ამაღლებული კვალიფიკაციები. კოლეჯის მიერ პროგრამისთვის შერჩეულ პროფესიული მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერთიფიკატებით, სამუშაო გამოცდილებით. კოლეჯში პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად გადიან ტრენინგებს სწავლების მეთოდების და შეფასების პროცესთან დაკავშირებით, რაც ასახულია შესაბამისი ფოტო მასალით. კოლეჯი ატარებს სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვას სწავლის შედეგებისა და შეფასების კომპეტენციებთან დაკავშირებით. კოლეჯში პროფესიული მასწავლებლის შეფასებას განხორციელდება:

1. სტუდენტების კითხვარის ანალიზის საფუძველზე.

2. პერსონალის კითხვარის ანალიზის საფუძველზე.

3. პროფესიული მასწავლებლის კითხვარის ანალიზის საფუძველზე.

4. შიდა მონიტორი ჯგუფის შეფასების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მზაობა მათ პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვთ ონლაინ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ჰქონდათ გამოწვევები დისტანციური სწავლებისას ტექნოლოგიურ უნარებთან დაკავშირებით და კოლეჯმა უზრუნველყო მათი მხარდაჭერა, IT სპეციალისტის მიერ ჩატარებული ტრენინგების საშუალებით, რაც დადასტურდა დოკუმენტურადაც კერძოდ: ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში, ასევე შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირების რაოდენობა და დაგეგმილია დამატებითი შეფასების და განმეორებითი დამატებითი შეფასების ვადები იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს, ინტერვიუს დროს, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში გაწერილი სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს, თეორიული მიმართულებით ლექციები ტარდება პროგრამა Teams-ის მეშვეობით. პლატფორმას გამოყენებასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება მატერიალური სახით (1. შეთანხმება პლატფორმის სარგებლობის უფლებაზე და ინვოისი, 2. პრეზენტაციების გამოყენების წესი,ასევე პრეზენტაციების ფოტო მასალა, რომლითადც დასტურდება რომ ,ამსწავლებლებს უტარდებათ საინფორმავციო შეხვედრები Teams-ის მოხმარებასტან მიმართებით 3. სქრინები, ატვირთული სალექციო მასალებიდან), ასევე ხორციელდება დისტანციურად ჩატარებული საკონტაქტო საათების ვიდეო ჩაწერა. საკონტაქტო საათის ხანგრძლივობა შეადგენს 45 წუთს. რაც შეეხება კოლეჯში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესს, ხორციელდება აუდიტორიაში მასწავლებლებთან უშუალო კონტაქტში. შეუძლებელია შეფასება მოხდეს ონლაინ.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია რომ: ,,პანდემიის პერიოდში დაწესებულებამ, ისევე როგორც ყველა სხვა დაწესებულებამ იმუშავა დისტანციურად ან მოგვიანებით ჰიბრიდული სწავლების მიდგომით. ამას ხელი შეუწყო თავად პროგრამამაც, რადგან 8 მოდულის სწავლება მიმდინარეობდა სააფთიაქო ქსელში. რაც შეეხება იმ მოდულებს, რომელთა სწავლება გათვალისწინებული იყო კოლეჯში, მაგრამ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება დისტანციურად ვერ განხორციელდა, პირისპირ სწავლის აღდგენის შემდეგ მასწავლებლებმა კოლეჯში ჩაატარეს პრაქტიკული საათები და განმსაზღვრელი შეფასება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასების მიზნით დაწესებულებამ 2022 წელს ჩაატარა გამოკითხვა პანდემიის პერიოდში ჩარიცხულ სტუდენტებთან. მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულებამ თეორიული მოდულების სწავლება დისტანციურ რეჟიმში დატოვა. “

აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესი კოლეჯში დღემდე არის ჰიბრიდული, ეს დაადასტურეს როგორც განმახორციელებელმა პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა ინტერვიუების დროს.

დაწესებულებამ წარმოგვიდგინა 2025 წლის 17 დეკემბრის ბრძანება № 00027433, დისტანციური სწავლები წესის შესახებ (საფუძველია 2025 წლის 17 დეკემბრის კოლეჯის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი). წინამდებარე დისტანციური სწავლების წესით განსისაზღვრება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონ“-ში დისტანციური სწავლების მეთოდები და ფორმები, ასევე მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ხარისხის მექანიზმები და შეფასების კრიტერიუმები. არსებული წესი არეგულირებს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმების და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესის დაგეგმვას/განხორციელებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

მის ადმინისტრირების წესებს. დისტანციური სწავლება გულისხმობს სრულად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, მის დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.
დისტანციური სწავლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დისტანციური სწავლების ფორმატის შესაძლებლობა;
2. ფორსმაჟორული ვითარება;
3. ეპიდემიური მდგომარეობა;
4. სტუდენტის მსმენელის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
5. მასწავლებლის დროებითი შრომისუუნარობა.
6. გადაუდებელი სარეაბილიტაციო ან სამშენებლო სამუშაოები;

სწავლების დისტანციური ფორმატის დაწყების შესახებ მასწავლებლები, სტუდენტები და მსმენელები წინასწარ არიან ინფორმირებულები.საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციის საქმიანობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლაც, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, გარდა იმ პოზიციებისა, რომელთათვისაც ფიზიკური ყოფნა აუცილებელია. საქმიანობა სრულდება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მითითებების გათვალისწინებით. დისტანციური სწავლების ფორმებია:

1. სინქრონულად – ინტერაქცია, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის
კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება.
2. ასინქრონულად – ინტერაქცია, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება. პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს დისტანციური სწავლების სრულად ასინქრონული ფორმით.
3. ჰიბრიდულად – ელექტრონული (სინქრონული ან ასინქრონული) და აუდიტორული სწავლების კომბინირებული მოდელი.

დაწესებულება სრულად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლოპროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურადგანხორციელების წესისა და პირობების შესახებ და მოქმედებს ამ ბრძანების შესაბამისად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ, ბრძანება №143/ნ ის მუხლი 3. პუნქტი–7 ის თანახმად: ,, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას და ავტორიზაციის/პროგრამის დამატების ეტაპზე არ ჰქონდა მოთხოვნილი პროგრამის/პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების დისტანციურად განხორციელება, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შემთხვევაშივალდებულია მიმართოს ცენტრს, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით.“ მონიტორინგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული დოკუმეტების შესწავლისა და დაწესებულებასთან კომუნიკაციის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებას დისტანციურად განხორციელების წესის შესახებ ცენტრისთვის არ მიუმართავს. დაწესებულების განმარტებით, ისინი ელოდებოდნენ სტანდარტის ცვლილებას და მას შემდეგ აპირებდნენ ცენტრზე მიმართვას აღნიშნული წესის თაობაზე.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს პრაქტიკის კოორდინატორი, რომელიც სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის მიერ სტუდენტების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტებს ანაწილებს სასწავლებლის პარტნიორ კომპანიებში (პრაქტიკის ობიექტი) მათი რაოდენობის, პროგრამის, მოდულის და მოდულით განსაზღვრული საათების შესაბამისად. პრაქტიკის ობიექტზე სწავლება ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლებელსა და პრაქტიკის ობიექტს შორის შეთანხმებულ ვადებში და მისამართზე.მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, მიმდინარე წელს ჩართული იყვნენ პროგრამის ცვლილების პროცესში. აქვთ მოდულების განხორციელების გამოცდილება. ხოლო ერთეულ, სისტემაში ახლად შემოსულ პირებს ჩაუტარდათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების შესახებ ტრენინგები, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მსგავსი ტრენინგების განმეორებით ჩატარება. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმახორციელებლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (№12611. 27.12.2022 წელი)დამტკიცებულია (ცვლილება №1517. 19.02.2023 წელი; ცვლილება №2399. 16.03.2023 წელი (საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები (ცვლილება) No18574. 02.10.2025 წელი. თავი XII. სასწავლო პროცესის მართვა) პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესახებ. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერგანსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დადასტურებულია მისი დანიშვნის აქტით. კოლეჯს პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რა აქტივობებს ახორციელებს იგი: სასწავლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; განმახორციელებლების მიერ პროგრამისმოდულების შემუშავების/ცვლილებისგანხორციელების კოორდინირება და მონაწილეობა; განმახორციელებლების მიერ სხვადასხვამოდულების კალენდარული გეგმის შემუშავების კოორდინირება; განმახორციელებლების მიერ სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

მოდულების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების კოორდინირება; პროგრამის განხორციელების პროცესში შესაბამისი მატერიალური რესურსებისა და მასალების მუდმივი მონიტორინგი დანაკლისის შევსების მიზნით; შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში ჩართულობა. საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებაში ჩართულობა შუალედური შეფასების პროცესში ჩართულობა. სტუდენტებთან კომუნიკაცია მათში მოქალაქეობრივი და პროფესიული დონისამაღლების მიზნით; პრაქტიკის ბაზების შერჩევა და მათთან თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადებაში ჩართულობა; პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების დასწრების კოორდინირება/მონიტორინგი; სტუდენტის მიერ შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში სააპელაციო კომისიას შეფასების პროცესში ჩართულობა; კოლეჯის ადმინისტრაციულ საბჭოში მონაწილეობა (სამოქმედო გეგმის და შვიდწლიანი გეგმის შემუშავება/მონიტორინგში აქტიურიჩართულობა); • სხვადასხვა აქტივობები: შეხვედრების, ტრენინგების და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა დაორგანიზება. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სფეროში და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე - კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ის არის დარგის კვალიფიციური წარმომადგენელი. პროფესიით ფერშალი, აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტია. აღსანიშნავია რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა „საექთნო საქმის“ შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესში.პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია ბრძანებით პროგრამასთან ერთად. ექსპერტები გაეცნენ პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას, რომელშიც ასახულია მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რაც დაცულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა; ცხრილები). ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს. გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. იგი იცნობს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობებს. ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო საქმეს“ ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - საექთნო საქმე/Nursing მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზითაც. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიუირება პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯის ბიბლიოთეკის მომსახურებით კმაყოფილება და საბიბლიოთეკო სერვისების ხელმისაწვდომობა. კოლეჯში ცალკე არის გამოყოფილი ბიბლიოთეკის სივრცე (სამკითხველოთი) სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/დასკანერება. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია წიგნების ელექტრონული სია, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. კოლეჯი ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, ხოლო პასუხების ანალიზის შედეგებს იყენებს შემდგომი განვითარებისათვის, ახორციელებს საინტერესო წიგნების შეძენას და შეთავაზებას. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის ჩართვას. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე დაწესებულების რეგულაციით გათვალისწინებულია ადაპტირებული შეფასების ფორმატის: ზეპირი, წერითი, ტესტური, ელექტრონული გამოკითხვა-შეთავაზება. რეგულაცია გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული კოლეჯის სივრცისა და სერვისების შეთავაზებას და ა.შ. დირექტორის გადაწყვეტილებით, შშმპ-ის საჭიროებების გათვალისწინებით , შესაძლებელია სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა. საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ ჩარიცხულია ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირი. წარმოდგენილია აღნიშნული პირის ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის პრაქტიკული მოსინჯვის შედეგების ამსახველი მასალები. დაწესებულებას ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. მის მიერ წარმოდგენილია სსსმ სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობის მონიტორინგისა და დაკვირვების დოკუმენტაცია.წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სტუდენტი წარმატებით არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და ამ ეტაპზე არ საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია.

1.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ: პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით მიიღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო ვაუჩერია, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება, ძირითადი საშუალებების ცვეთა, მასალა ნედლეულზე დასახარჯი თანხა, კომუნალური გადასახადები და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საექთნო საქმე“, „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 06.12.2022 წლის N 11876 ბრძანებით, ცვლილებები - ბრძანება N1517 19.02.2023, ბრძანება N2394 16.03.2023),
2. მოდულის განმახორციელებელ პირებთან ხელშეკრულებებით; მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით;
3. პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
4. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
5. ვიზუალური დათვალიერებით;
6. პრაქტიკის გარემოს მონახულებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
7. ბიბლიოთეკის დათვალიერებით და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;
8. სასწავლო ცხრილების შემოწმებით;
9. პროგრამის ბიუჯეტით;
10. მატერიალური რესურსის დათვალიერებით;
11. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების გამოყენების რეგულაცია;
12. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.
13. პროგრამის ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების ფუნქცია-მოვალეობები და მათი საათობრივი დატვირთვა;
15. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი;
16. პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

17. აუდიტორიების გამტარუნარიანობის ცხრილი;
18. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
19. დათვალიერების შედეგები;
20. პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები;
21. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
22. პროგრამის სასწავლო გეგმა
23. 2025 წლის 17 დეკემბრის ბრძანება № 00027433, დისტანციური სწავლები წესის შესახებ
24. 2024 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება No MOH 1 24 00188729 პრაქტიკის ობიექტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია:

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი:29.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინათინი მეფარიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ია გელენიძე